



ანგარიშვალდებულება ბენეფიციარების მიმართ

დახმარების გამწვევი ორგანიზაციების მიერ აღებული ვალდებულებების მოკლე მიმოხილვა

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
თბილისი, 4 მაისი, 2009 წ.

მიმოხილვა

ამ ანგარიშში განხილულია საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მათი ბენეფიციარების მიმართ აღებული ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ვალდებულებები. ანგარიშის მიზანია, (ა) ამ ორგანიზაციებს შეახსენოს მათ მიერ აღებული ვალდებულებები, (ბ) ბენეფიციარებს გააცნოს ეს ვალდებულებები და ხელი შეუწყოს მათ დაცვას და (გ) საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურებზე იმ შემთხვევებისთვის, როცა კონკრეტული საერთაშორისო ორგანიზაცია აღებულ ვალდებულებას არ ასრულებს.

რას გულისხმობს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება?

გამჭვირვალობა გულისხმობს საზოგადოების საქმის კურსში ყოფნას იმის შესახებ, თუ რა ხდება დახმარების გამწვევ ორგანიზაციაში. ბუნებრივია, თანხის არასწორი ხარჯვის, კორუფციის და სხვა პრობლემების შესახებ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ამ ინფორმაციის საფუძველზე პოზიტიური ცვლილების განხორციელება და სისტემის დახვეწა იქნება შესაძლებელი. აქ ანგარიშვალდებულებამდე მივდივართ.

ანგარიშვალდებულება გულისხმობს დახმარების გამწვევი ორგანიზაციებისა და ამ ორგანიზაციებში დასაქმებული პირების ვალდებულებას, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განმარტონ და დაასაბუთონ და მათ საქმიანობის შედეგებზე პასუხისმგებლობა აიღონ. გარდა ამისა, ანგარიშვალდებულება ნიშნავს, რომ ბენეფიციარებს უნდა ჰქონდეთ უფლება, მათი სახელით და მათთვის მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობა გააკონტროლონ, იქნება ეს ეფექტიანი გასაჩივრების პროცედურების გამოყენების, სასამართლოებისთვის მიმართვის, არჩევნებში მონაწილეობის, თუ სხვა გზებით.

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საჭიროება

საქართველოში მოქმედი ჰუმანიტარული და განვითარების ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციები საკმაოდ დიდ რესურსს განკარგავენ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტებზე ასეულობით მილიონი აშშ დოლარი აქვთ დახარჯული¹. მხოლოდ 2008 წელს *მყისიერი დახმარების* (Flash Appeal)² სახით გაერომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჯამში³ ექვსი თვისთვის

¹ ზუსტი რიცხვის დადგენა შეუძლებელია, თუმცა, სავარაუდოდ ეს რიცხვი, სულ ცოტა, ცხრანიშნინია.

² მყისიერი დახმარება საჯარო დოკუმენტია და შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:
<http://ochaonline.un.org/cap2005/webpage.asp?Page=1701>



109 მილიონი აშშ დოლარი მოითხოვეს. ამ თანხას აკვისტოს ომის შედეგად დევნილ ადამიანებზე თუ გადავანაწილებთ, სულზე დაახლოებით 3 000 აშშ დოლარი გამოვა. გარდა ამისა, ეს თანხა ხუთჯერ აღემატება 2009 სახელმწიფო ბიუჯეტში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის გამოყოფილ თანხას³.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ამბობენ, რომ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა არა მხოლოდ კორუფციის შესაძლებლობებს ქმნის, არამედ მნიშვნელოვნად ამცირებს თანხის სწორი და ეფექტიანი ხარჯვის შანსებს. ბევრ ამ ორგანიზაციას არა ერთი ისეთი პროექტი აქვს განხორციელებული, რომელიც მათი ქვე-გრანტიორებისა და საქართველოს ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას ემსახურებოდა.

მნიშვნელოვანი რესურსების ფლობისა და თავად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების აღიარების ფონზე, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ისინი ამ პრინციპებს განუხრელად იცავდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციების ვალდებულებები

აღიარებენ რა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების აუცილებლობას, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას, ინფორმაცია მიაწოდონ არა მხოლოდ მათ ღონორებს, არამედ მათ უშუალო ბენეფიციარებსაც. დანმარების ეფექტიანობის შესახებ ღონორი ორგანიზაციების ვალდებულებები პარიზის დეკლარაციასა და აკრას ხელშეკრულებაში⁴ გაწერილი, ხოლო დანმარების გამწვევი საერთაშორისო ორგანიზაციების საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სხვადასხვა სახის სტანდარტებში, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მათ მიერ გაწეული საქმიანობის რეალური შედეგების შეფასება.

ქვემოთ მოცემულია საერთაშორისო სტანდარტების ამსახველი სამი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი⁵:

1. ჰუმანიტარული ანგარიშვალდებულების პარტნიორობის (HAP) სტანდარტები
2. SPHERE სტანდარტები
3. InterAction PVO სტანდარტები

³ შეუძლებელია იმის დადგენა, მისიერი დანმარების რა ნაწილი მოხვდა საერთაშორისო ჰუმანიტარული და განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაციების ხელში. მაგალითად, UNHCR-მა 45 მილიონი აშშ დოლარი მოითხოვა, თუმცა, ამ თანხის გარკვეული ნაწილი ქვე-გრანტების სახით მან სხვა ორგანიზაციებზე გასცა.

⁴ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი იხილეთ <http://www.civil.ge/eng/article.php?id=19988>.

⁵ ღონორთა ვალდებულებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წინა პუბლიკაციები მისამართზე: www.transparency.ge

⁶ სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტებია:
არასამთავრობო ორგანიზაციების ქცევის კოდექსი:
<http://www.gdrc.org/ngo/codesofconduct/ifrc-codeconduct.html>



(1) ჰუმანიტარული ანგარიშვალდებულების პარტნიორობის (HAP) სტანდარტები

ჰუმანიტარული ანგარიშვალდებულების პარტნიორობის (HAP) სტანდარტების შემუშავების მიზანი, ჰუმანიტარული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების მკაფიო მექანიზმების ჩამოყალიბების გზით, მათი ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობა იყო. HAP სტანდარტების თანახმად, ჰუმანიტარული ანგარიშვალდებულება ბენეფიციარების მოსაზრებების ანგარიშგაწვევასა და მათ მიმართ ანგარიშვალდებულების დაცვას გულისხმობს.

<http://www.hapinternational.org/projects/standard/hap-standard.aspx>

HAP სტანდარტების გამოყენება ჰუმანიტარულ სფეროში დასაქმებულ ყველა ორგანიზაციას შეუძლია. პარტნიორობის წვერი ორგანიზაციებისთვის (პარტნიორობაში გაწვევრიანება ნებაყოფლობითია) მისი სტანდარტების დაცვა სავალდებულოა.

ამჟამად საქართველოში HAP-ში გაწვევრიანებული ხუთი საერთაშორისო ორგანიზაცია საქმიანობს. ესენია:

- CARE International
- დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC)
- ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC)
- Oxfam GB
- World Vision International

HAP პრინციპებს შორისაა:

- ინფორმირებული თანხმობა: იმის უზრუნველყოფა, რომ ბენეფიციარებს, ან მათ წარმომადგენლებს ზუსტად ესმოდათ და ეთანხმებოდნენ შეთავაზებულ ჰუმანიტარულ სამოქმედო გეგმას და მის მოსალოდნელ შედეგებს.
- მოწმე: სტიქიით დაზარალებულთა ინფორმირება პროექტებისა და სამუშაო პრინციპების შესახებ.
- გამჭვირვალობა: იმის უზრუნველყოფა, რომ საჭირო ინფორმაცია ბენეფიციარებს, ან მათ წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს სრულად მიეწოდებოდა.

კონკრეტულ ვალდებულებებში შედის:

- სააგენტო სტიქიით დაზარალებულ პირებს მიაწოდებს ინფორმაციას ბენეფიციარების შერჩევის კრიტერიუმებისა და მათთვის განკუთვნილი პროექტების შესახებ.
- სააგენტო ყველა პუბლიკაციაში და საჯარო ინფორმაციაში მიუთითებს მის სახელწოდებას და საკონტაქტო ინფორმაციას⁷.
- სააგენტო დეტალურად განსაზღვრავს, თუ რა პროცედურების საფუძველზე არჩევს ის ბენეფიციარებს და მათ წარმომადგენლებს.
- სააგენტო დაადგენს და გამოაქვეყნებს მისთვის საჩივრების წარდგენისა და მათი განხილვის პროცედურას.

თუ HAP-ის წვერი რომელიმე ორგანიზაცია მის მიერ აღებულ ვალდებულებებს დაარღვევს, HAP-ისთვის საჩივრის⁸ წარდგენა ელექტრონული სახით არის შესაძლებელი. საჩივრის წარდგენა ყველას შეუძლია:

⁷ ბუფერულ ზონაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ დახმარების მონიტორინგის ჯგუფმა ნახა HAP-ის წვერი ორგანიზაციის მიერ მომზადებული პოსტერი, რომელზეც ამ ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია მითითებული არ იყო. მომავალში HAP-ის წვერი ორგანიზაციის მიერ HAP-ის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ HAP-ში ოფიციალურ საჩივარს წარადგენს.



<http://www.hapinternational.org/projects/complaints-handling/complaints-advisory-service.aspx>

HAP, შესაბამის ორგანიზაციასთან ერთად, მიღებულ საჩივარს განიხილავს და სათანადო ზომებს მიიღებს.

⁸ სავარაუდოდ, მომავალში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ამგვარ საჩივრებს წარადგენს და მისი პუბლიკაციების მკითხველებს მიაწოდებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ეს სისტემა პრაქტიკაში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა 2009 წლის 2 თებერვალს ერთ-ერთი დიდი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ HAP-ის სტანდარტების დარღვევის შესახებ HAP-ში კერძო საჩივარი წარადგინა. HAP მ საჩივრის მიღება იმ დღესვე დაადასტურა. 24 მარტს მან გამოგზავნა შეტყობინება, რომ საჩივარი დამრღვევი ორგანიზაციის ცენტრალურ ოფისში გადაგზავნა, რომელიც მას დაჰპირდა, რომ საჩივრის წარმდგენს ახლო მომავალში უშუალოდ შეეხმიანებოდა. საჩივრის ავტორს ცენტრალური ოფისი დღემდე არ დაკავშირებია (HAP-ში საჩივრის წარდგენა ანონიმურადაც შეიძლება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ თანამშრომელს ანონიმურობის დაცვა არ უთხოვია).



(2) SPHERE სტანდარტები

SPHERE პროექტი 1997 წელს შეიქმნა. მისი მიზანი სტიქიით დაზარალებულთათვის გაწეული დახმარების ხარისხის ამაღლება და ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების ანგარიშვალდებულების გაზრდა იყო. SPHERE-მა მოამზადა სახელმძღვანელო, რომელშიც მინიმალური სტანდარტები და ინდიკატორებია გაწერილი. ამ დროისთვის ბოლო გამოცემა (2004 წ.) ინგლისურ და რუსულ ენებზეა და მისი ჩამოტვირთვა უფასოდ შეგიძლიათ შეძღვეთ მისამართიდან:

http://www.sphereproject.org/component/option,com_docman/task,cat_view/gid,70/Itemid,203

SPHERE სახელმძღვანელოში ზოგადი სტანდარტებია განსაზღვრული. ისინი ყველა სფეროზე ვრცელდება. ამ სტანდარტებს შორისაა:

- ადგილობრივი მოსახლეობა იღებს ინფორმაციას დახმარების პროგრამების შესახებ და მას აქვს შესაძლებლობა, პროექტის ნებისმიერ ეტაპზე შენიშვნები მიაწოდოს მის განმხორციელებ ორგანიზაციას.
- შეფასების შედეგების გაცნობის საშუალება აქვს ყველა დაინტერესებულ მხარესა და პირს. უნდა არსებობდეს მექანიზმები იმისთვის, რომ საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება, დახმარების პროგრამების შესახებ შენიშვნები გამოთქვას.

SPHERE ნებაყოფლობითი ინიციატივაა და ის გასაჩივრების პროცედურებს არ მოიცავს, თუმცა, SPHERE-ის სტანდარტები იმდენად ფართოდაა აღიარებული, რომ მათი დარღვევა სერიოზულად აღიქმება.

სახელმძღვანელოში, ზოგადი სტანდარტების გარდა, წყლის, სანიტარიის, საკვების უსაფრთხოების, საკვებითა და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის და ჯანდაცვის სფეროებისთვის სპეციფიური სტანდარტებიცაა გაწერილი. მაგალითად, მასში მითითებულია, ყოველდღიურად მინიმუმ რამდენი კალორია უნდა მიიღოს იძულებით გადაადგილებულმა პირმა. ამგვარი დეტალიზაცია დარღვევების გამოვლენას მნიშვნელოვნად აადვილებს.

საქართველოში მოქმედი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან SPHERE-ის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ დამრღვევი ორგანიზაციის საქართველოს ოფისს დაუკავშირდება. მისი მხრიდან დარღვევის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, შესაძლოა, ორგანიზაციამ სხვა დაინტერესებული მხარეებიც ჩააყენოს საქმის კურსში.

ელ-ფოსტა: info@transparency.ge



(3) InterAction PVO სტანდარტები

InterAction წევრობაზე დაფუძნებული ასოციაციაა, რომელიც 170 ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. ამ ასოციაციის მიზანი მისი წევრი ორგანიზაციების ეფექტიანობისა და პროფესიული შესაძლებლობების დახვეწაა. თითოეული წევრი ვალდებულია წელიწადში ორჯერ შეავსოს სპეციალური თვითშეფასების ფორმა, რომლითაც დაადასტურებს, რომ ასოციაციის სტანდარტებს აკმაყოფილებს. მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში წევრი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხი არ ღებება⁹, ისინი ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას, რომ აღნიშნული სტანდარტები დაიცვან.

საქართველოში დღეს InterAction-ის წევრი შემდეგი ორგანიზაციები საქმიანობენ:

- CARE
- CHF International
- International Orthodox Christian Charities (IOCC)
- International Relief and Development (IRD)
- International Rescue Committee (IRC)
- Mercy Corps
- Relief International
- Save the Children
- United Methodist Committee on Relief (UMCOR)
- World Vision

InterAction სტანდარტები მოიცავს:

- ორგანიზაცია წინააღმდეგობას გაუწევს და არ ჩაერთვება არამართებულ საქმიანობაში, კორუფციაში, მექრთამობაში, სხვა ფინანსურ მაქინაციებსა და კანონდარღვევებში.
- ორგანიზაცია, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, დაასაბუთებს, რომ მის მიერ თანხის გამოყენება ღონორის მოთხოვნებსა და დასახულ მიზნებთან შესაბამისობაშია.
- წევრი ორგანიზაცია ვალდებულია იღებს, მისი მიზნების, პროგრამების, ფინანსებისა და მმართველობითი სისტემის შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაცია გამოაქვეყნოს.
- ყველა დაინტერესებული მხარე მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში იქნება ჩართული პროექტებისა და პროგრამების შემუშავების, განხორციელების და შეფასების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტები ერთი შეხედვით ზოგადია¹⁰, იმის გათვალისწინებით, რომ InterAction ბევრ ორგანიზაციას აერთიანებს და ასოციაციას საჩივრების წარდგენისა და განხილვის გამართული პროცედურები აქვს, მისი სტანდარტები გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობის ეფექტიანი საშუალებებია.

InterAction-ისთვის საჩივრების წარდგენა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

ელ-ფოსტა: ia@interaction.org

⁹ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მისამართზე:

http://www.interaction.org/files.cgi/6133_PVO_Standards_Commonly_Asked_Questions.pdf

¹⁰ საკვებით დახმარებაზე უფრო დეტალური სტანდარტებია შემუშავებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ამჟამად ამ სტანდარტებს InterAction-თან ერთად განიხილავს და მათ შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას კვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მომდევნო ანგარიშში წარმოგიდგენთ.



საღსის გაკლიერება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ იმედოვნებს, რომ წარმოდგენილი მიმოხილვა არა მხოლოდ დახმარების გამწვევი ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, არამედ ცოტათი მაინც იმ დისბალანსსაც შეამცირებს, რომელიც ამ ორგანიზაციებსა და მათ ბენეფიციარებს შორის არსებობს. ამის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა საქართველოს მოქალაქეებისთვის, მათი პოლიტიკური წარმომადგენლებისა და სხვადასხვა სახის საადვოკაციო ჯგუფებისთვის იმ ინსტრუმენტების გაცნობაა, რომლებიც მათ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მათ დასახმარებელ პროგრამებზე გაწეული ხარჯების კონტროლში დაეხმარება.

ამ ანგარიშში განხილული სტანდარტები თავად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერაა შემუშავებული და დამტკიცებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ დახმარების პროცესში ჩართულ მონაწილეებს მოუწოდებს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების განმტკიცებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ.

როგორ შეგვიძლია ჩვენ თქვენი დახმარება?

ამჟამად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ საერთაშორისო დახმარების მონიტორინგის ჯგუფი ათი ადამიანისგან შედგება. მათი უმრავლესობა მოხალისეა (ანაზღაურებას არ იღებს). ჯგუფის მუშაობის მთავარი პრინციპია „რა დაეხმარება იძულებით გადაადგილებულ პირებს ყველაზე მეტად“. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მოხარული იქნება, მიიღოს რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ რაზე გაამახვილოს მან ყურადღება მონიტორინგის პროცესში, რათა ხელისუფლებას, დონორებსა და დახმარების გამწვევ ორგანიზაციებს მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში დაეხმაროს.

თუ გსურთ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ანგარიშები ავტომატურად მიიღოთ, მოგვწერეთ მისამართზე: info@transparency.ge

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წინა ანგარიშები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: www.transparency.ge

ეს კვლევა გამოქვეყნდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში პროექტის სახელწოდებაა „საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების ეფექტიანობის ხელშეწყობა“. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 57,964 აშშ დოლლარს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ თანადაფინანსება 34,300 აშშ დოლარია. საპროექტო განაცხადის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: www.transparency.ge

